ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №125

2011 წლის 10 ოქტომბერი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამი-“ს დამტკიცების შესახებ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №-151 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამი“-ს დამტკიცების შესახებ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №-151 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ამოქმედდეს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 16 დეკემბრის №26 დადგენილების ძალაში შესვლისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე